წარმოსადგენი დოკუმენტები

- პოტენციური ბენეფიციარის პირადობის მოწმობის ასლი ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ამონაწერ(ებ)ი სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მაღალმთიან დასახლებაში სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შესახებ, რომელიც არის პოტენციური ბენეფიციარის საკუთრებაში/თანასაკუთრებაში;
- შესასყიდ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური/იურიდიული პირის მიერ პოტენციური ბენეფიციარისთვის გამოწერილი ინვოის(ებ)ი ან/და მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ქართულ ენაზე, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: გამოშვების წელი, ექსპლუატაციის შესახებ ინფორმაცია (უნდა იყოს ახალი), ცხენის ძალა, მხარეთა რეკვიზიტები.
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საგარანტიო დოკუმენტი (საგარანტიო პირობები უნდა ვრცელდებოდეს განაცხადის წარდგენიდან არანაკლებ 6 თვის ვადით) გაცემული მწარმოებლის ან/და მიმწოდებლის მიერ;
- პოტენციური ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა/ამონაწერი/ხელშეკრულება საფინანსო ინსტიტუტიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა/ხელშეკრულება საფინანსო ინსტიტუტიდან შესაბამისი მოცულობის სესხის/ლიზინგის დამტკიცების თაობაზე;
- წერილობითი დოკუმენტი ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან, რომელიც ადასტურებს, რომ პოტენციური ბენეფიციარს აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი, რომელიც გაცემულია განაცხადის წარმოდგენამდე არაუმეტეს 2 თვისა;
- საბანკო რეკვიზიტები;
- სხვა დამატებითი დოკუმენტები, სააგენტოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.